


ცნობის ფურცელი

სურათებიანი დამატება



დამატების № 16.

კვირა, 25 ნოემბერი 1901 წ.

ზვილის მოლოდინში

(სერბთა ცხოვრებიდან)

ს. ჩარაიჩისა

ეს რამდენიმე დღეა დღეა ანუგეშებს თავის პატარა ქალიშვილებს თქვენი ძმა მალე მოვაო. მეზობლებსგან შეიტყო, რომ ყველა აჯანყებულნი და „პატიოსან ჯვრისათვის“ საომარად წასულნი ეხლა შინსაკენ ბრუნდებიან და მალე საცაა სახლში იქნებიანო.

— მოვა ძმა! — ეუბნებოდა ის თავის პატარა ქალიშვილებს და თანაც არა ჩვეულებრივს მხიარულებას გრძობდა, რომ კიდევ ნახავს თავისს საყვარელ შვილს და გულმკერდში ჩაიკრავს.

ხუმრობა ხომ არ არის! აგერ მთელი ორი წელიწადია, თავის საყვარელ შვილს ვეღარა პხედავს, მთელი ორი წელიწადია, რაც შვილი გამოემშვიდობა და სხვებთან ერთად სადაღე შორს წავიდა. საწყალი დედაბერი უმწეო დარჩა, დღე და ღამ იტანჯება, რათა თავის წერილ-შვილს სარჩო მოუპოვოს.

რაც შვილი გაშორდა, ცუდ მდგომარეობაში ჩავიარდა: მეზობლები იშვიათად უმართავდნენ ხელს, ხშირად სახლში ლუკმა პურიც არ ეშოებოდა და მშვიერებიც რჩებოდნენ.

ბავშვები სულ პატარები იყვნენ: უფროსი ათი წლისა ძლივს იქნებოდა, უმცროსი კი ჯერ რვისაც არ იყო ისინი, რასაკვირველია, შიმშილს ვერ ითმენდნენ და მალ-მალ ეკითხებოდნენ დედას:

- დედილო, რატომ არაფერს გვაქვებ?
- ეხლა არაფერი გვაქვს.
- გვექნება კი?
- გვექნება, უეჭველად, გვექნება.
- როდის, დედიჯან?
- მაშინ, როდესაც თქვენი ძმა მოვა. — ჩვეულებრივად

დღეა დარწმუნებული იყო, რომ ამ შიმშილს სწორედ მოელებოდა, როდესაც მისი შვილი იოზა შინ დაბრუნდებოდა და მუშაობას ხელს მიჰყოფდა. ბავშვები მაინც ხშირად ეკითხებოდნენ:

- როდის-ღა მოვა ჩვენი ძმა?
- მალე მოვა, თქვენი კირიმე, მალე, — ყოველთვის მიუგებდა ხოლმე დედა. .

ერთ დღეს სოფელში ამავე მოვიდა, რომ მეომარნი შინისკენ ბრუნდებინაო. დედის სიხარული გამოუთქმელი იყო; იმ დღეს იმაზე ბედნიერი არავინ იყო! დედაც კმა თავისი ქოხი მილაგ-მილაგა, — დღე იმას ყვი-



იესო ქრისტე. — ქანდაკება ანტაკოლსკისა.

ეუბნებოდა ხოლმე დედა. | ლაფერი სუფთად დახედესო; მოამზადა ლოგინი და მოიტანა ახალი თივა.

—საწყალს, ვინ იცის, იქნება იქ სულ ქვეზეთი და, ახლა მანქანა რბილზე მოსვენებით დაიძინებსო, სიყვარულით ამბობდა დედა.

..

სასურველი დღეც მალე მოვიდა. სოფელში ერთი აურზაური და ალიაკითი შეიქმნა. დიდიც და პატარაც შორს, სოფლის გარედ, მიეშურებოდა მეომართა მისაგებებლად. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად დაიარებოდა, ყველა მზიარულ სიმღერებსა მღეროდა. ბავშვებს რაღაც დრომასაივთ გაეკეთებოდათ და გმირების დასახვედრად მიეშურებოდნენ.

მოხუცმა დედამაც თავისი პატარა ქალები ძმის მისაგებებლად წაიყვანა.

საწყალი თითქო გამოცვლილიყო! სახე მზიარულად უბრალოდ და თითქოს დედა-მინაზე ფეხს არ აღდგამსო, ისე მიდიოდა, წელშიაც კი გამართულიყო.

ბავშვებზეც დედის გარშემო მზიარულად დახტოდნენ და იძახდნენ:

— დედილო, აგერ ძმა მოვა! ახლა ჩვენ მშვიერი აღარ ვიქნებით...

— აღარ ვიქნებით, შვილებო, აღარა,—ლიმილით ეუბნებოდა დედა.

— ახლა ჩვენ ყველაფერი გვექნება!
— ყველაფერი სამყოფი გვექნება.

ამ წაირის ლაპარაკით ისინი სოფელს გასცილდნენ და ერთ პატარა ტყესთან შეიღინდნენ.

— აქ უნდა მოვიკადოთ, — უთხრა დედამ ბავშვებს და შესდგა.

— აბა თქვენ ძმას პატარა მარწყვი მოუკრიფეთ: კარგად ვიცი, იმას მარწყვი ძალიან უყვარს.

ბავშვები ტყეში შეიკვიდნენ და ბალახ-პულახში მარწყვის ძებნა დაიწყეს. დედა კი იქვე დიდ მუხის ქვეშ დაჯდა და შორს ყურება დაიწყო, აი საცაა ვინმე გამოჩნდებაო.

ნათლად შეამჩნია, რომ ცხენოსანი და ქვეითი, რიცხვითოცამდე, სოფლისაკენ მოეშურებოდნენ.

დედას გული მზიარულად აუტოკდა და მარდად ფეხზე წამოხტა

— ის არის, ის!—დაიკვილა და ტუისაკენ შეიღებდა მიაძახა:

— აქ მოდიოთ, აქ! აგერ თქვენი ძმა!..
ბავშვები საჩქაროდ ტყიდან გამოიკვიდნენ.

— სად არის?—დაეკითხნენ დედას.
— აი აგერ მოდიან,—თითის შვერით უპასუხა დედამ.

ამ დროს მეომარნი კიდევაც მოუახლოვდნენ. ისინი მკლავ-გადახვეული მოდიოდნენ და თან სხვა-დასხვა მზიარულ სიმღერებს მღეროდნენ.

დედაც წინ მიეგება და მიესალმა.
— დილა მშვიდობისა!—ერთ ხმად უპასუხეს მეომრებმა.

დედაებზე ბეჯითად დათვალა, იქნება ჩემი შვილი მათ შორის იყოსო, მაგრამ ის იქ არ აღმოჩნდა.

— სად არის ჩემი იომა?—შეეკითხა დედა უკანა მეომარს.

— არ ვიცი... შეიძლება უკან დარჩა და მოდის.—უთხრა მან და გასწია.

მოხუცი დედა შედგა.
— რისთვის დაიგვიანა!—ეკითხებოდა თავის თავს.—განა არ იცის, რომ მე აქ ვუცლი?..

— სად არის ჩვენი ძმა?—დაეკითხნენ ბავშვები.
— მოვა, ამ საათში მოვა!—უთხრა დედამ და თან შორს გაიხვედა.

მალე კიდევ რამდენიმე მეომარი გამოჩნდა.
— უეჭველად, ამათთან ერთად მოდის ჩემი შვილი,—გაიფიქრა მოხუცმა დედამ და წინ მიეგება მათ.

აქ ყველა მისი მებობლები იყვნენ.
— ჩემი იომა სადღა არის,—მიაძახა მოხუცმა დედამ მიხალმების წინაღვე.



გარანგაკას ქუჩა, ქუთაისში.

მალე, მართლაც, შორის პატარა ღრუბელივით, რაღაც გამოჩნდა; წერტილი თან და თან ახლოვდებოდა. დედაებზე

მებობლებმა ერთმანეთის შეხედეს და ყველას ეტყობოდა, რომ პასუხის მიცემა უძნელდებოდათ.



— მითხარით, მოდის თუ არა ჩემი შვილი? — ხელახლად დაეკითხა დედა.

— არა... არ ვიცი, — უყუბნით უპასუხეს ზოგიერთებმა.

— ჩვენს უკან აღარაფერია მოდის... — როგორც იყო წარმოსთქვა ნათლიაშვილმა ნიკომ და ჯავშურა წინ.

დედა-კაცი შესდგა, გული დაუბმინდა, თითქო რაღაც დააწვავა... ვეღარ სუნთქავდა.

— აღარ არის ჩემი შვილი! — როგორც იყო, აკანკალებულის ხმით სთქვა მან და კიდევ შორს ექტრა დაიწყო. საწყალი, კიდევ ელოდება.

ბავშვებიც იკითხენ იყურებოდნენ, მაგრამ აღარაფერ მისჩანდა, არც ყრუბული და არც მგზავრი. მხოლოდ საიდნაღაც რამდენიმე ყვავი გამოჩნდა, გარშემო შემოიუარეს მოხუც დედას და გაფრინდნენ.

— აღარ არის ჩემი შვილი! — ყრულ გაიმეორა ბებერმა, გული შეეწუხდა და მდღლარე ცრემლების ნაკადული თვალებიდან გადმოსცდა.

ბავშვებმა რომ ეს დაინახეს, მიეხვივნენ დედას: — ნუ სტირი, დედილო, ჩვენი ძმა მალე მოვა...

ბეგრატ ბეთანელა

ნარგვი და გასართობი

ოსმალებს მეროე ნასრენინი ჰყავთ. მისი სახელი ბუადე-მა. ამ ლეგენდარულ პირზედაც ბევერი ანგელოტიკა დარჩენილი. მოგვეყვას ორიოდ მათგანი:

ერთხელ ბუადემბი ისე მთვრალი იყო, რომ ადგილიდან დაძვრა აღარ შეეძლო; ეგლო ქუჩაზე და თავბრუ ესხმოდა. გამწვლეული შეეკითხა: — რას აკეთებ, ქუჩაზე რომ გდინხარო, და ბუადემბაც უპასუხა:

— ქვეყანა ბრუნავს. ვუცლი სანამ ჩემი სახლი ჩემამდე მოაწევს. როგორც კი დავინახავ, მაშინვე შინ შევალა.

რომ უფროსი მძიმე ავადმყოფი იყო. ბუადემბი შევიდა მასთან, უნახა მჯავა და სთქვა:

— მე ვიცი ამ ავადმყოფობის წამლობა. ეხლაც მომიტანეთ პური და თავლი.

მისი თხოვნა მაშინვე შეასრულეს. ბუადემბაც აიღო პური, ჩააწო თავლში, შემოაელო ავადმყოფს თავზე, რაღაც ლოცვები წაიბუტბუტა და შექამა. ასე გაიმეორა რამდენჯერმე და წავიდა. მეროე დღეს ავადმყოფი მკვდარი დახვდათ.

— რა საკვირველი წამალით უწამალ ავადმყოფსო, — ჰკითხეს ბუადემს.

— ეს წამალი რომ არ მეხმარა, — უპასუხა ბუადემმა, — მკვდარი ეხლა მე ვიქნებოდიო.

— მეტად უყვარხარ შენს სიდედრსო, — უთხრეს ერთხელ ბუადემს.

— რას ამბობთ, მე რომ იმას ეყვარებოდი, თავის ქალს სხვას მისცემდო, — სთქვა ბუადემმა.

ბუადემი ერთ ნაღმზე მივიდა და იქ ჰკითხეს: — მადა გაქვსო?

— ესეც რომ არ მქონდეს, ჩემისთანა ღატაკს რაღა დარჩებოდაო, უპასუხა — ბუადემმა.

ჩინოვებს ბევრი იგავ-არაკი აქეთ. ზოგი ამ იგავ-არაკთაგანი ხალხში ძლიერ გავრცელებულია. მოგვეყვას ორი ასეთი იგავ-არაკი: პირველი ახასიათებს იმით, ვინც მხოლოდ სიწმინდის გარვენობით დატყობი უხვევს სხვას თვალებს, მეროე კი — ძუნწობის უგნურობას.

ერთი ბებერი კატა საღამოზედ კარებ წინ იჯდა, ნახვარად თვალები დაეხუჭა და ღრუტუნებდა. თვალი მოჰკრა ორმა თავებმა და მეტად გაიოცეს, რომ მათი დაუძინებელი და



წასსული დროიდან. — ლეკების თვალსაზრისში

ღიდ შიმშილობის დროს ბუადემბი უკველობით სიკვდილს იყო მიღწეული. ერთ პატარა ქალაქში რომ მივიდა, შეიტყო,

მოსისხელ მტერი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა თავებებს. ერთმანეთს წასსურაულეს: „ფისუნია ლოცულობს, ეტყობა

კოდებს ინანიებს, ახლა კი იმისი აღარ უნდა გვეშინოდესოა“ თავგებმა გუზში თამაშობა დაიწყეს და კატას სრულებით აღარ მოერიდნენ. მაგრამ როცა მიუახლოვდნენ, კატამ კლანჭები გაჰკრა და ერთი თავი შექაბა. მეორემ თავს უშველა და წამოიძიხა:

— ვინ იფიქრებდა, რომ კატა, რომელიც თავიდან დახუჭული ლოცულობს, ასეთ რასმე ჩაიდნდაო!

* *

ერთ ქურუმს დიდალი თვალმარგალიტი ჰქონდა. ამით მოგროვებას დიდი შრომა მოაწდომა და ამით თავი მოჰქონდა. ერთხელ ქურუმს მეგობარი ეწვია და თვალმარგალიტს სინჯვა დაუწყაო. როდესაც დათვალიერებით გული იჯერა, მიუბრუნდა მეგობარს და გულითად მადლობა გადაუხადა.

— ვერ გამიგია, მეგობარო, — წამოიძიხა ქურუმმა, — რისთვის მიხდი მადლობას—თვალ-მარგალიტი ხომ შენთვის არ მიჩუქებია?

— თვალ-მარგალიტის დანახვამ შენზე ნაკლებად არ მასიამოვნა; განსხვავება მე-და შენში, მე მეგონა, მხოლოდ ის არის, რომ შენ იძულებული ხარ თვალ-მარგალიტს სიღარჯობდე, მე კი ვე შრომა თავიდან აცილებული მაქვსო, — მოუგო მეგობარმა.

* *

ახალგაზრდა ძალის დიურინდნ

არშაბათი დღეს დილით საუზმის დროს ოტტოს ვუთხარი, რომ ძალიან მოგვიხებოდა ცოცხა ხნობით გავეზავრებულიყავით სადმე. იმან პტიკე უარი მითხრა— ისეთი საქმეები მაქვს, რომ ჩემი სადმე წასვლა სრულიად შეუძლებელიაო.

სამშაბათი. დღეს ვუთხარი, რომ თუ ვინცოდა მოვისურვებთ სადმე წასვლას, კარგი იქნებოდა პარიზშიაც შეგვევლო, მაგრამ, შევატყე, ეს ოტტოს ეწყინა და გადაჭრით მითხრა, რომ არ უყვარს ლაპარაკი ისეთ რამეზე, რასაც ვერ შეასრულებს.

თხშაბათი. დღეს ჩემს ძვირფასს დედას მივეწერე, რომ უიმისით მეტად მოწყენილი ვარ; ვთხოვე ჩვენსა მოსულიყო და თანაც დაეუმეტე, რომ პასუს ველი დებე მით.

ხუთშაბათი. დღეს ჰეზავრობის შესახებ ოტტოსათვის აღარა მითქვამს-რა, ვგრძნობ ამგვარი ლაპარაკი ძალიანა სწყენს. მაგრამ როდესაც სამსახურში წავიდა, გავაცილე კარებამდე და გამოთხოვებისას ვაკოცე.

შაბათი. დღემ დღემში შემატყობინა— მომავალ კვირას თქვენთან ვიქნებიო. ეს დღემაც ოტტოს საწერ მაგიდაზე დამჩრა.

შაბათი. ოტტომ გამომიცხადა, რომ მოახერხა როგორც იქნა და საქმეები იმაზე უფრო ადრე მოაწყო, ვიდრე თითონ ფიქრობდა, ამიტომ ის ახლა თავისუფალია. ორშაბათ დილით საგანგებო მატარებლით პარიზისაკენ მივემგზავრებით.



მუხამბაზი

ახა, ესცი ხომ გავწადე მე ზადე! სიანს, ბედნიერ ვარსკვლავზე დავიზადე! გაულს მიზარებს სოდლის უბედურობა, საღ წამიხვალთ,— მე ვარ თქვენი ობობა! ..



თუმცა ტფილისის გამგეობის დადგინებას თანამად გამგეობის კასნოში ფული არ იწახება, მაგრამ დროთაღმა გამგეობამ მაინც ზოუები მიიღო ცარიელი კასნის დასაცავად..



— თვალ-კრემლიანი გემუდარებეთ, გემეწეებით — მომბანდეთ საბუქოს კრებაზედ ..



— საღ მიტქარებით ვჯერ ზომ ათი საათია მოითმინეთო ..

რედაქტორი
ა. ჭყონია

გამომცემელი
ა. ჭახაბაძე